ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 102

ქალაქი ქუთაისი 29 აგვისტო 2018 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის
14 მარტის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მარტის N61 განკარგულებაში, კერძოდ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან ამოღებულ იქნეს №147 პუნქტი.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №223 – №230 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2018 წლის 29 აგვისტოს
№102 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და

სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგის-ტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატი-ზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
223	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, თაბუკაშვილის ქუჩა №90-ის აღმოსავლეთით	1270	03.05.25.425	32.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
224	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ბუკიას ქუჩა №13ა-ს ჩრდილოეთით	43	03.01.24.630	44.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
225	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა №19-ის ჩრდილოეთით	1127	03.04.25.210	165.0 (1კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
226	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №19 (ნაკვეთ№1-2)	3107	03.05.22.720	32.0 (1კვ.მ.-ზე)	ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მიწის ნაკვეთზე უზრუნველყოს არანაკლებ, 25 ნომრიანი სასტუმროს ტიპის ობიექტის მშენებლობა	აუქციონში გამარჯებულმა აუქციონზე დასახელებული საბოლოო ღირებულების გადახდა (აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი თანხის გამოკლებით) განახორციელოს სამ ეტაპად
227	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა	877	03.01.24.575	32.0 (1კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
228	შენობა – ნაგებობა	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37. სადგური „ქუთაისი II-ეს“ მიმდებარე ტერიტორია, ნაკვეთი №1-1	მიწა - 770 კვ.მ. შენობა №1-855,46 კვ.მ.	03.04.26.173	325092 ლარი	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

229	შენობა – ნაგებობა	ქალაქი ქუთაისი, ნოდარ დუმბაძის ქუჩა №59-61 (ნაკვეთი №2)	მიწა – 2350,80 კვ.მ. შენობა – ნაგებობა 4527,12 კვ.მ.	03.04.03.474	სარგებლობაში	უპირობოდ	ყოველი თვის ბოლოს
230	მიწისქვეშა გადასასვლელი	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი და ნიკეას ქუჩის გადაკვეთა	მიწის ფართობი – 1731 კვ.მ. მიწისქვეშა გადასასვლელი ფართით: 659,20 კვ.მ.	03.04.32.101	სარგებლობაში	უპირობოდ	ყოველი თვის ბოლოს

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია